



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ქ. ჩოქოძე კახაბერ კირტავა
2 ნოემბერი 2020 წელი

N 31/36

ეგზ.: N 1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის „კულტურის,
ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის
პრიორიტეტისთვის“ გამოყოფილი საბიუჯეტო
სახსრების ხარჯვის კანონიერების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
(01.01.2019 – 31.12.2019)

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	9
	აუდიტის მიზანი	9
	აუდიტის მეთოდოლოგია	9
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	11
	საკონტაქტო ინფორმაცია	25

**ტერმინები და
შემოკლებები**

- მერია** – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.
- საკრებულო** – თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- სამსახური** – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.
- კულტურის ცენტრი** – ა(ა)იპ – ქ. ბათუმის კულტურის ცენტრი.
- სპორტული ცენტრი** – ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სპორტული ცენტრი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის „კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პრიორიტეტისთვის“ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

სახელმწიფო შესყიდვები

„კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პრიორიტეტისთვის“ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა რიგ შემთხვევებში განხორციელებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების უგულებელყოფით. ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას რიგ შემთხვევებში ვერ იქნა უზრუნველყოფილი ბაზრის კვლევის ჩატარება, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და მომსახურების ტენდრის საშუალებით შესყიდვა, რითაც მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვანი ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა. აღნიშნული ფაქტები მენეჯმენტის სისუსტეზე მიუთითებს და არამართლო მიერ ქმედებების რისკებს წარმოშობს.

„კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის შესრულება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქვეპროგრამების ფარგლებში ბენეფიციართა გამოვლენის მიზნით შექმნილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს საუკეთესო ინიციატივების (პროექტების) გამოსავლენად თანაბარი შესაძლებლობებისა და განვითარების პირობების შექმნას, რასაც კომისიის წევრთა მიერ სათანადო არგუმენტების გარეშე განხორციელებული შეფასებები განაპირობებს და სუბიექტური გადაწყვეტილებების წინაპირობებს ქმნის.

დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრა

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებულ იურიდიულ პირებში მუშაკთა დასაქმების კუთხით არსებული კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს, ოპტიმალურად განისაზღვროს საშტატო რიცხოვნობა. ამასთანავე, კულტურის ცენტრის ბალანსზე რიცხული აქტივების გაუმართაობის გამო, ტექნიკური პერსონალი ვერ ასრულებს მათზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც შეუსაბამოა საბიუჯეტო რესურსის ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენების ვალდებულებასთან. აუდიტის პერიოდში კულტურის ცენტრში ფიქსირდება 2 (ორი) სხვადასხვა საშტატო ერთეულზე მუშაკთა ერთდროულად დასაქმების ფაქტები. ამასთანავე, სამსახურებრივი მივლინების პერიოდში აღნიშნულ პირებს სრულად უნარჩუნდებოდათ ხელფასი ორივე საშტატო ერთეულზე, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები არამიზნობრივადაა გაცემული.

პროგრამებით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა

პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან არამიზნობრივადაა ანაზღაურებული მივლინების ხარჯები და სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოების ღირებულება. ამასთანავე, სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვისას ფიქსირდება სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების არასაზღვრო ფასით განსაზღვრისა და სატენდერო დოკუმენტაციაში შესასრულებელ სამუშაოთა არასათანადოდ აღწერის ფაქტები, რაც შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულებამ განაპირობა და შესაძლოა, არამართლო მიერ ქმედებებთან იყოს დაკავშირებული.

ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარვეზები

კულტურის ცენტრის 2019 წლის ერთობლივ შემოსავალში არ არის გათვალისწინებული და შესაბამისად, მოგების გადასახადით არ არის

დაბეგრული უსასყიდლოდ გაცემული ქონების სარგებლობის სავარაუდო ღირებულება. რიგ შემთხვევაში სარგებლობის საფასური არასწორადაა განსაზღვრული და დასტურდება კომერციული პროექტებისთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტები, რაც უარყოფითად აისახება ცენტრის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამასთან ერთად, კულტურის ცენტრის ბალანსზე რიცხული აქტივები არასათანადო მოვლა-შენახვის გამო ზიანდება და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ხდება. შედეგად, სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების მიზნით ხდება შესაბამისი ტექნიკის დაქირავება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ცენტრის დაკვეთით ჩატარებული ღონისძიებების საბიუჯეტო ხარჯს.

პროგრამების შედგენა შესრულება

ცალკეული პროგრამის მისაღწევი შედეგების არასწორად განსაზღვრის გამო, ვერ დგინდება შედეგებისა და მიზნის მისაღწევად დახარჯული რესურსების ურთიერთკავშირი. შესაბამისად, შეუძლებელია მიღწეული შედეგების სრულყოფილი შეფასება.

რეკომენდაციები:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

რეკომენდაცია N1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული სისტემური ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები და არაობიექტური გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას
კულტურის ცენტრს

რეკომენდაცია N2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და კულტურის ცენტრმა შეისწავლოს სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული სისტემური ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები და არაობიექტური გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები. კონკურენტუნარიანი ტენდერების ჩატარების მიზნით, დანერგონ შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების კონტროლის მექანიზმები, რაც ჩასატარებელი ღონისძიებების ტექნიკური და ფინანსური პარამეტრების სრულყოფილ და დროულ განსაზღვრაში გამოიხატება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

რეკომენდაცია N3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი პროექტების არგუმენტირებული შეფასებების საფუძველზე უზრუნველყოფს საუკეთესო ინიციატივების (პროექტების) გამოვლენას და მათი რაციონალური დაფინანსებით ხელს შეუწყობს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე შემოქმედთა განვითარებას და თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებას.

კულტურის ცენტრს

რეკომენდაცია N4. კულტურის ცენტრმა უზრუნველყოს არამიზნობრივად გაცემული შრომის ანაზღაურების დაბრუნება და ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

რეკომენდაცია N5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დასაქმებულ პირთა კომპეტენცია და უფლება-მოვალეობები და მათზე დახარჯული საბიუჯეტო სახსრების ანალიზის საფუძველზე განახორციელოს მუშაკთა დასაქმების ისეთი სისტემა, რომელიც თითოეული დასაქმებულის კომპეტენციისა და ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, განსაზღვრავს დასაქმებულთა ოპტიმალურ რაოდენობას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსის ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას.

სპორტულ ცენტრს

რეკომენდაცია N6. ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სპორტულმა ცენტრმა უზრუნველყოს გერმანიის რესპუბლიკაში, ქალაქ პოტსდამში, ცენტრის დირექტორის მივლინებისას სასტუმროს ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოს მივლინების ხარჯების სახით გაცემული 2.812 ლარი ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვა

საქალაქო
ინფრასტრუქტურისა და
კეთილმოწყობის
სამმართველოს

რეკომენდაცია N7. ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ შეისწავლოს სპორტული მოედნის მშენებლობის შესყიდვასთან დაკავშირებული ხარვეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამასთანავე, შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებულ პროცესებზე სათანადო ზედამხედველობას.

კულტურის ცენტრს

რეკომენდაცია N8. ა(ა)იპ – ქ. ბათუმის კულტურის ცენტრმა განახორციელოს 2019 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციის კორექტირება. ამასთანავე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს და განახორციელოს ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების გამოყენებისა და შენახვის სისტემური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ექსპლუატაციისას აქტივების ფუნქციონირებას და საქმიანობაში მათ სრულად გამოყენებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სხვადასხვა ღონისძიებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკურად ხარჯვას.

ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის მერიას

რეკომენდაცია N9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნების ადეკვატური მისაღწევი შედეგების და შეფასების ინდიკატორების შემუშავება, რომელთა საშუალებით მკაფიოდ წარმოჩნდება შედეგებსა და მიზნის მისაღწევად დახარჯულ რესურსებს შორის ურთიერთკავშირი, რაც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების უმთავრესი მიზანია.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტი მოთხოვს, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პრიორიტეტისთვის“ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის „კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პრიორიტეტისთვის“ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და საჯარო ფინანსების ჯეროვანი მართვის პრინციპებთან შესაბამისობა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით პრიორიტეტისთვის გამოყოფილი 14.077.600 ლარიდან ათვისებულია 13.491.677 ლარი, ანუ 95,8%.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2019 წელს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პრიორიტეტისთვის“ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

კანონშესაბამისობის კრიტერიუმებია:

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
-) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანება „შავი სიის წარმოების წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე“;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის დადგენილება N74 „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს დადგენილება N19 „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიული პირების წესდებები.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-) დოკუმენტური შემოწმება;
-) ფიზიკური დათვალიერება;
-) ინტერვიუები;
-) დაკვირვება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

„კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის“ პრიორიტეტისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას ახორციელებს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე. სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

- განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში პროგრამების, ქვეპროგრამების, პროექტების, ღონისძიებების შემუშავება, დანერგვა, მართვა, ადმინისტრირება და განხორციელება;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი თვითმყოფადობის, კულტურული მრავალფეროვნებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაცვა და განვითარება, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და ქალაქის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N7.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 სახელმწიფო შესყიდვები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანი სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა და სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებაა.

2.1.1 სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხარვეზები

კრიტერიუმი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა განმარტებულია როგორც ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა ამ კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრების შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის საშუალებებისა და ვადების გამოყენებისათვის და სხვა მოთხოვნების შესრულებისათვის თავის არიდების მიზნით.¹

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, შესყიდვის გამარტივებული წესით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ გარემოებებს. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი ისეთ ქმედებას, რომელიც ხელოვნურად იწვევს გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობას.²

ამასთანავე, დაწესებულების ყოველ იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი, მის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის და სახსრების კანონიერი, ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის გზით დაწესებულების მიზნების მიღწევისა და ამოცანების შესრულებისათვის, პასუხისმგებელია ზემდგომი ხელმძღვანელის წინაშე.³

გარემოება N1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აუდიტის პერიოდში ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეპროგრამებით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად ახორციელებდა.

ცხრილი N1. ქვეპროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯები

N	დასახელება	საკასო ხარჯი
1.	საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	248.700
2.	საერთაშორისო ფესტივალების ხელშეწყობა	499.102
3.	კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის ფარგლებში შემდეგი ღონისძიებები:	
-	თეატრის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	6.800
-	„ბათუმის ღამის მართონი“	10.000
-	საერთაშორისო ფესტივალი „სლავური ბაზარი - 2019“	8.032
-	ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი - 2019“	6.900
-	საერთაშორისო ფესტივალი - Glomus 2019	9.400
	ჯამი:	788.934

¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-3 მუხლები.
² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“.
³ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ქვეპროგრამების ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებები კონკურსის წესით შეირჩეოდა და მათ ორგანიზებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევით,⁴ შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ფორმდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებების ბიუჯეტი და შესაბამისად, გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებებიც, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად განისაზღვრებოდა და არ ხდებოდა მათ მიერ წარმოდგენილი ფასების საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისობის დადგენა. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, 2019 წელს ანალოგიური შინაარსის მომსახურებების 5 (ხუთი) ტენდერის⁵ გზით შესყიდვის შედეგად მიღებულია საშუალოდ 10%-იანი ეკონომია.

მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ჩატარებული ტენდერის⁶ შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების⁷ შესაბამისად, სასტუმროს მომსახურების ღირებულება ერთ პირზე 55 ლარით განისაზღვრა, მაშინ როცა მერიის მიერ ა(ა)იპ – „არტ-ალტერნატივასთან“ „გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის მე-14 საერთაშორისო ფესტივალის“ ორგანიზების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებულ ხელშეკრულებაში, სასტუმროს მომსახურება ერთ პირზე 80 ლარს შეადგენს. ამასთანავე, შპს „მარლეთთან“ გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამჯერად კვებას, ხოლო ა(ა)იპ – „არტ-არტერნატივასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება ორჯერად კვებას, რაც ეკონომიურობის თვალსაზრისით კიდევ უფრო ზრდის ტენდერის ჩატარების მიზანშეწონილობას. აღნიშნულის განზოგადებისა და ანალიზის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოთ აღნიშნული ქვეპროგრამების ტენდერის ფორმით განხორციელების შედეგად, სავარაუდოდ, დაიზოგებოდა 78.893 ლარი.

გარემოება N2. ა(ა)იპ – ქ.ბათუმის კულტურის ცენტრის მიერ 2019 წელს 352.968 ლარის ღირებულების გასართობი მომსახურების შესყიდვა, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელდა, თუმცა შესყიდული მომსახურების სპეციფიკის გათვალისწინებით, სათანადო მენეჯმენტის პირობებში, შესაძლებელი იყო მომსახურების ტენდერის საშუალებით შესყიდვა, კერძოდ:

- სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქალაქ ბათუმში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, 79.630 ლარის ღირებულების მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა. აღნიშნული გადაწყვეტილების არგუმენტად მოყვანილია ღონისძიებების ლოკაციის

⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტისა და 10¹ მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁵; NAT 190021132; NAT 190020565; NAT 190014137; NAT 190011651.

⁶ NAT 190025977.

⁷ კონტრაქტორი - შპს „მარლეი“.

ადგილის ცვლილება და ცენტრალურ საორგანიზაციო კომიტეტთან ღონისძიების დეტალების დაგვიანებით შეთანხმება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი განმარტების შესაბამისად, ტრადიციული ლოკაციის ადგილი – ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორია სარემონტო სამუშაოების გამო შეიცვალა, თუმცა მოპოვებული ინფორმაციით, ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიის სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული ტენდერი⁸ 2019 წლის 14 მარტს გამოცხადდა და შესაბამისად, ღონისძიების ლოკაციის ადგილის ცვლილება თავიდანვე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. რაც შეეხება დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დეტალების დაგვიანებით შეთანხმებას, აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

- ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრმა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სახალხო დღესასწაულის – „ბათუმობა 2019“-ისათვის, 273.338 ლარის ღირებულების გასართობი მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელა. დღესასწაულის ჩატარების თარიღი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2019 წლის 31 იანვარს დაადგინა,⁹ 2019 წლის 11 მარტს დამტკიცდა კონცეფცია, რომლის ბიუჯეტი 300.000 ლარს შეადგენდა და ითვალისწინებდა საორგანიზაციო და წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებას, თუმცა მხოლოდ 2019 წლის 12 აპრილს, დღესასწაულის ჩატარებამდე 16 დღით ადრე, კულტურის ცენტრის წარდგინების საფუძველზე კონცეფცია შეიცვალა და სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის ღონისძიებების დამატებისა და საქართველოში მოღვაწე პოპულარული შემსრულებლების მოწვევის მიზნით, ღონისძიების ბიუჯეტს 273.338 ლარი დაემატა. აღნიშნული გახდა საფუძველი იმისა, რომ ღონისძიებისათვის საჭირო მომსახურება გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ორგანიზების მომსახურების შესყიდვისათვის, ელექტრონულ ტენდერში¹⁰ გამარჯვებულ ერთადერთ პრეტენდენტთან – შპს „მარკასთან“, 2019 წლის 4 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც 190.895 ლარით განისაზღვრა. დღესასწაულის დღეებში ჩასატარებელი ღონისძიებები შეთანხმებულია მერიასთან, თუმცა შემსყიდველისათვის მისაღები ხელშეკრულების გაფორმებისა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მიზნით, ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა. სატენდერო განცხადების შესაბამისად, პრეტენდენტებს უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში უნდა ჰქონოდათ ანალოგიური კულტურული ღონისძიების ორგანიზების გამოცდილება, ჯამური ღირებულებით – 350.000 ლარი. ამასთანავე, აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ერთ-ერთი პროექტის სახელშეკრულებო თანხის მინიმუმი 100.000 ლარით განისაზღვრა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ერთადერთმა პრეტენდენტმა – შპს „მარკამ“, რომლის მიერ შესყიდვების ერთიან სისტემაში გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების სახით ატვირთულია კულტურის ცენტრთან წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, 2018 წლის

⁸ NAT 190005348.

⁹ ქ.ბათუმის საკრებულოს 2019 წლის 31 იანვრის N1 დადგენილება, 4.3.1 პუნქტი

¹⁰ NAT 190005116.

„ბათუმობის“ დღესასწაულის ორგანიზებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება 124.983 ლარის ღირებულებით.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ კულტურის ცენტრისთვის დღესასწაულის ჩატარების თარიღი 86 დღით ადრე, წლის დასაწყისისათვის იყო ცნობილი, მაინც ვერ მოხერხდა დღესასწაულის კონცეფციის სრული და დროული შემუშავება და საკრებულოსთან შეთანხმება. ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების პირობები ზღუდავს კონკურენციას და შესაძლოა, ერთი პრეტენდენტის ინტერესებზე იყოს მორგებული. შედეგად, კომერციული მომსახურების ტენდერის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით,¹¹ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა ჯამში, დაახლოებით, 32.000 ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა.

დასკვნა

„კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პრიორიტეტის“ ფარგლებში გამოყოფილი საბიუჯეტო თანხებიდან 788.934 ლარი, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების 45%, გახარჯულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების უგულვებელყოფით. ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას რიგ შემთხვევაში ვერ იქნა უზრუნველყოფილი ბაზრის კვლევის ჩატარება, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და 352.968 ლარის ღირებულების მომსახურების ტენდერის საშუალებით შესყიდვა, რითაც მუნიციპალიტეტმა არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ჯამში, დაახლოებით, 110.000 ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა დაკარგა. ზემოაღნიშნული მენეჯმენტის სისუსტეზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ და კულტურის ცენტრმა შეისწავლოს სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული სისტემური ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები და არაობიექტური გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები. კონკურენტუნარიანი ტენდერების ჩატარების მიზნით, დანერგონ შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოების კონტროლის მექანიზმები, რათა ჩასატარებელი ღონისძიებების ტექნიკური და ფინანსური პარამეტრები სრულყოფილად და დროულად განისაზღვროს.

2.2.1 „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზები

კრიტერიუმი: „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანი კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზე ორიენტირებული ინიციატივების მხარდაჭერა და თანაბარი შესაძლებლობების მიცემაა, ბენეფიციარები შეირჩევა 2-ეტაპიანი კონკურსის წესით. პირველი ეტაპი ითვალისწინებს დოკუმენტაციის შესწავლას, ხოლო მეორე ეტაპი – განაცხადების განხილვას კომისიური წესით. კონკურსანტთა შეფასება ხდება 0–10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: პრიორიტეტულობა, აქტუალობა, ინოვაციურობა, მიმზიდველობა, სანახაობითობა, ინტერესი, მდგრადობა, ხარჯების ეფექტიანობა, PR კომუნიკაცია. კონკურსანტთა შერჩევის კომისიის

¹¹ არსებული პრაქტიკით, კომერციული მომსახურების ტენდერის საშუალებით შესყიდვისას მიღებულია, საშუალოდ, 10%-იანი ეკონომია.

რეკომენდაცია აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი და წარედგინება მუნიციპალიტეტის მერს. რეკომენდაცია გაეწევა იმ აპლიკანტს, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 60%-ს.

გარემოება N1. „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარებული კონკურსების მასალების შესაბამისად, კომისიის მიერ განხილული 34 პროექტიდან, არ დაფინანსდა 10 პროექტი. კომისიის წევრების მიერ ცალკეული პროექტის შეფასების მასალების ანალიზით გამოვლინდა, რომ ერთსა და იმავე პროექტთან მიმართებით, კომისიის წევრთა შეფასებები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამასთანავე, კომისიის წევრებს არ მოეთხოვებოდათ მიღებული გადაწყვეტილებების არგუმენტაციის წარმოდგენა, რაც ზრდის სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის რისკს, მაგალითად:

ცხრილი N2. „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში განხილული პროექტები

პროექტის წარმოდგენი	პროექტის დასახელება	პროექტის მიზანი	მოთხოვნილი თანხა	შენიშვნა
შპს „საჯარო და კერძო ადმინისტრირების კვლევისა და მონიტორინგის ცენტრი“	„დრო მვირფასია“ საზოგადოებრივ ტრანსპორტში გაურკვეველი წარმოშობის ესტრადის, ქართული პოეზიისა და პუბლიცისტიკის ნიმუშებით ჩანაცვლება	საზოგადოებისათვის კარგისა და ცუდის გარჩევაში დახმარება	9.950	დაფინანსდა
შპს „კოლოზეუმ მარინა“	„ბათუმის ღამის მართანი“ ქალაქ ბათუმში, მასობრივი გარბენის მოწყობა	ბათუმის ცნობადობის ამაღლება	10.000	დაფინანსდა
აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუთა კავშირი „ჭერა“	„პირველი ნაბიჯები“ - ქართველი მწერლის, პარმენ ლორიას რომანის - „მეველუდის“ აუდიოწიგნად გამოცემა	შშმ პირებისათვის სახელოვნებო უნარჩვევების ათვისება-განვითარება, შშმ პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება	7.300	არ დაფინანსდა

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად დაფინანსებულია შპს „საჯარო და კერძო ადმინისტრირების კვლევისა და მონიტორინგის ცენტრის“ პროექტი, რომლის სრულად განხორციელება მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად არ დასტურდება. კერძოდ, წარმოდგენილი ინფორმაციით, პუბლიცისტური აუდიოჩანაწერი წარდგენილ იქნა ქალაქ ბათუმის საჯარო სკოლებში, თუმცა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ქართული პოეზიისა და პუბლიცისტიკის ნიმუშების გამოყენება ვერ მოხერხდა შესაბამისი ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო. ამავე დროს, შერჩევის ეტაპზე კომისიის მიერ არ იქნა მოთხოვნილი და შეფასებული ინფორმაცია, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებისა და ავტორტრანსპორტში მათი არსებობის და გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. შედეგად, ავტორტრანსპორტში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ვერ

განხორციელდა, რაც საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვისა და სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკებზე მიუთითებს.

- დაფინანსებულია ასევე შპს „კოლიზეუმ მარინას“ პროექტი, რომელიც მასობრივი გარბენის მოწყობის შემდეგ ითვალისწინებდა, დახურვის ცერემონიისათვის ორგანიზებული საზეიმო კონცერტის გამართვას. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად ირკვევა, რომ პროექტი კომერციული ხასიათისაა და გარბენში მონაწილეობისათვის გათვალისწინებული იყო გადასახადი.¹² ამასთანავე, მოპოვებული ინფორმაციით დასტურდება, რომ საკონცერტო სცენა შპს „კოლიზეუმ მარინას“, ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრისგან უსასყიდლოდ გადაეცა. შესაბამისად, პროგრამით, რომლის მიზანი ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე შემოქმედთა თანაბარი განვითარების ხელშეწყობაა, დაფინანსებულია კერძო ბიზნესის კომერციული პროექტი.

- ამავე დროს აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუთა კავშირ „ჰერას“ მიერ წარმოდგენილ პროექტი, აქტუალობისა და ინოვაციურობის მიუხედავად არ დაფინანსდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კომისიის სხდომის ოქმში არ არის განმარტებული უარის თქმის არგუმენტები.

დასკვნა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ქვეპროგრამების ფარგლებში ბენეფიციართა გამოვლენის მიზნით შექმნილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს საუკეთესო ინიციატივების (პროექტების) გამოსავლენად თანაბარი შესაძლებლობებისა და განვითარების პირობების შექმნას, რასაც კომისიის წევრთა მიერ სათანადო არგუმენტების გარეშე გაკეთებული შეფასებები განაპირობებს და სუბიექტური გადაწყვეტილებების წინაპირობებს ქმნის.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი პროექტების არგუმენტირებული შეფასებების საფუძველზე უზრუნველყოფს საუკეთესო ინიციატივების (პროექტების) გამოვლენას და მათი რაციონალური დაფინანსებით ხელს შეუწყობს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე შემოქმედთა განვითარებას და თანაბარი შესაძლებლობების დამკვიდრებას.

2.3 პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ხარვეზები

დაწესებულებაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის.¹³

2.3.1 დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.¹⁴ ამასთანავე, არასრულწლოვანთა დასაქმება შესაძლებელია მისი კანონიერი

¹² ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მერყეობდა 25-დან 40 ლარამდე.

¹³ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შინა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁴ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით. დაწესებულებაში უნდა დაინერგოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც საჭიროებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს დასაქმებულთა რიცხოვნობას და მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს.

გარემოება N1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით „კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის“ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული პროგრამების განმახორციელებელ იურიდიულ პირებში¹⁵ 2019 წელს სულ დასაქმებული იყო 608 თანამშრომელი, რომელთაგან 452 დასაქმებული იყო შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, ხოლო 156, ანუ საშტატო რიცხოვნობის 34,5% – შტატგარეშედ. შრომის ანაზღაურების სახით გაცემული 3.896.263 ლარიდან, 554.914 ლარი გაცემულია შტატგარეშედ დასაქმებულ პირებზე. რიგ დაწესებულებებში შტატგარეშედ დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებდა საშტატო რიცხოვნობას და ამასთანავე, დასაქმებულთა შორის არიან შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე პირები, კერძოდ:

- ა(ა)იპ – ბათუმის სპორტულ ცენტრში 2019 წელს სულ დასაქმებული იყო 122 თანამშრომელი, საიდანაც 80, საერთო რაოდენობის 66% დასაქმებული იყო შტატგარეშედ, რომლებზეც შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია 299.310 ლარი, შრომის ანაზღაურების საერთო ფონდის 40%. ამასთანავე, შტატგარეშე მოსამსახურეთა მიერ შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება დოკუმენტურად არ დასტურდება. საშტატო განრიგის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მწვრთნელად მუშაობდა შვიდი პირი, მაშინ როცა ამავე პოზიციაზე შტატგარეშედ დასაქმებული იყო 22 პირი. ამასთანავე, 10 პირის მწვრთნელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.
- ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრში 2019 წელს დასაქმებული 325 პირიდან, 38 პირი დასაქმებულია ცენტრის ბალანსზე რიცხული ორი სცენის მომსახურე პერსონალის სახით, მათ შორის ერთი – შტატგარეშე მოსამსახურეა. აღნიშნულ პირებზე აუდიტის პერიოდში შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია 260.656 ლარი. პასუხისმგებელი პირების განმარტებებით, ცენტრის ბალანსზე რიცხული განათებისა და გახმავანების აპარატურის მნიშვნელოვანი ნაწილის პრაქტიკული გამოყენება მათი ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ ხერხდება. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით დასაქმებული ტექნიკური პერსონალი მათზე დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებს, თუმცა ისინი მაინც ირიცხებიან კულტურის ცენტრის სპეციალისტებად.
- ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრში 14 მუშაკი ერთდროულად დასაქმებულია 2 (ორი) საშტატო ერთეულზე. გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებისა და ცენტრის შინაგანაწესის შესაბამისად, შრომისა და დასვენების საათების თანაკვეთა საშტატო ერთეულების შესაბამისად არ ვლინდება, თუმცა აღნიშნული მუშაკების ერთი პოზიციიდან მივლინების პერიოდში, მეორე პოზიციაზე შრომის ანაზღაურება გაცემულია სრული ოდენობით. აღნიშნული შეუსაბამობის პირობებში, გაცემული თანხები¹⁶ ექვემდებარება ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვას.

¹⁵ პროგრამებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის გარდა, 2019 წელს ახორციელებდა 6 (ექვსი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

¹⁶ 10 მუშაკზე არამიზნობრივადაა გაცემული 893 ლარი.

დასკვნა

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებულ იურიდიულ პირებში მუშაკთა დასაქმების კუთხით არსებული კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სამტატო რიცხოვნობის ოპტიმალურ განსაზღვრას. ამასთანავე, კულტურის ცენტრის ბალანსზე რიცხული აქტივების გაუმართაობის გამო, ტექნიკური პერსონალი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც შეუსაბამო საბიუჯეტო რესურსის ეფექტიანი და პროდუქტიული გამოყენების ვალდებულებასთან. აუდიტის პერიოდში კულტურის ცენტრში ფიქსირდება 2 (ორი) სხვადასხვა სამტატო ერთეულზე მუშაკთა ერთდროულად დასაქმების ფაქტები. ამასთანავე, სამსახურებრივი მივლინების პერიოდში აღნიშნულ პირებს სრულად უნარჩუნდებოდათ ხელფასი ორივე სამტატო ერთეულზე.

რეკომენდაცია

მერიამ შეისწავლოს მის მიერ დაფუნდებულ იურიდიულ პირებში (ა(ა)იპ-ებში) დასაქმებულ პირთა კომპეტენცია და უფლება-მოვალეობები და მათზე დახარჯული საბიუჯეტო სახსრების ანალიზის საფუძველზე განახორციელოს მუშაკთა დასაქმების ისეთი სისტემა, რომელიც თითოეული დასაქმებულის კომპეტენციისა და ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით განსაზღვრავს დასაქმებულთა ოპტიმალურ რაოდენობას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსის ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას. კულტურის ცენტრმა უზრუნველყოს არამიზნობრივად გაცემული შრომის ანაზღაურების დაბრუნება და ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვა.

2.4.1 პროგრამებით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული ხარვეზები

კრიტერიუმი: ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემამ უნდა უზრუნველყოს:

- დაწესებულების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან;
- აქტივების, ინფორმაციისა და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან;
- საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება.

ფინანსური მართვა და კონტროლი მოიცავს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს.

გარემოება N1. ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სპორტული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 მარტის N32 ბრძანების შესაბამისად, ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოების მიწვევით, სპორტული ცენტრის დირექტორი მივლინებულ იქნა გერმანიის რესპუბლიკაში, ქალაქ პოტსდამში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების მიზნით. მივლინების ხარჯებთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ირკვევა, რომ მივლინებულის მიმღები მხარე ანაზღაურებს გერმანიაში მგზავრობასთან და განთავსებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, 2019 წლის 13 მარტს სპორტული ცენტრის დირექტორზე სამივლინებო ხარჯების სახით ავანსად გაცემულია 4.189 ლარი, მათ შორის 2.812 ლარი სასტუმროს ხარჯი. მივლინებასთან დაკავშირებით სპორტული ცენტრის მიერ დამატებით წარმოდგენილია ბრანდენბურგ-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის

წერილი,¹⁷ სადაც ის 2019 წლის 12 მარტის წერილში დაფიქსირებულ მივლინების ხარჯების ანაზღაურების პირობას, ტექნიკურ შეცდომად განიხილავს და უარყოფს სასტუმროს ხარჯების გადახდას, თუმცა აუდიტის პერიოდში მივლინებული პირის მიერ სასტუმროს ხარჯების ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტები¹⁸ ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, არ დასტურდება მივლინებულ პირზე სასტუმროს ხარჯის სახით გაცემული 2.812 ლარის მიზნობრიობა.

ამრიგად, სპორტული ცენტრის მიერ, არასათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე მივლინების ხარჯების სახით ზედმეტად გაცემულია 2.812 ლარი რომლის მიზნობრივად გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს წარმოშობს.

გარემოება N2. ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს მიერ 2019 წლის 16 იანვარს გამოცხადდა აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი,¹⁹ ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 469.879 ლარით განისაზღვრა და სხვა სამუშაოებთან ერთად ითვალისწინებდა ქვიშა-ხრემით 2260 კვ.მ ტერიტორიის მოზინვას, საშუალოდ, 150 სმ-ის სიმაღლეზე. საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, აღნიშნული სამუშაოს შესრულებისათვის გათვალისწინებული იყო 163.780 ლარი, რომელიც მოიცავდა: 3055 ლარის შრომით დანახარჯებს, 6.567 ლარის – ტექნიკური საშუალებების ხარჯს (ავტოგრეიდერი, საგზაო სატკეპნი, მოსარწყავი მანქანა), 84.896 ლარის ღირებულების ქვიშა-ხრემს და 69.261 ლარის ტრანსპორტირების ხარჯს. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო პროექტის შესაბამისად, 150 სმ სიმაღლეზე ტერიტორიის მოზინვისათვის საჭირო იყო 4141 კუბ.მ ქვიშა-ხრემის შეზიდვა, რაც უზრუნველყოფდა 3394,5 კუბ.მ დატკეპნილი მასის მიღებას.²⁰

შესყიდვის ელექტრონულ სისტემაში შესასრულებელი სამუშაოები ჩამოილი ფორმით არ იქნა ატვირთული. სატენდერო დოკუმენტაციით და შემდგომ გაფორმებული ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული აღნიშნული სამუშაოს სრულად შესრულებისათვის საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსი, რის შედეგად საპროექტო ტერიტორიის მოზინვის სამუშაოების მოცულობა 3394,5 კუბ.მ-ით განისაზღვრა. ტენდერში საუკეთესო ფასის წარმომდგენი გამარჯვებული პრეტენდენტის, შპს „მონოლითი 2005“-ის სატენდერო წინადადების ღირებულება 144.073 ლარით ნაკლებია სავარაუდო ღირებულებაზე. ამასთანავე, გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ქვიშა-ხრემით მოზინვის სამუშაოების სავარაუდო ღირებულება – 87.404 ლარით, ანუ 53%-ით შემცირდა და 2019 წლის 5 მარტის ხელშეკრულების შესაბამისად, 76.376 ლარით განისაზღვრა, რაც შესასრულებელ სამუშაოთა სავარაუდო ღირებულების არასაბაზრო ფასით განსაზღვრის რისკებს წარმოშობს.

ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ფარული სამუშაოების აქტების შესაბამისად, შემსრულებელმა კომპანიამ საპროექტო ტერიტორიაზე შეიტანა 3394,5 კუბ.მ

¹⁷ 2020 წლის 14 ივლისის წერილი

¹⁸ გადახდის ქვითარი, ინვოისი ან სხვა დოკუმენტები.

¹⁹ NAT190000758.

²⁰ პროექტის შესაბამისად, ტკეპნის კოეფიციენტად განისაზღვრა 1.22.

ქვიშა-ხრეში, რითაც (ტკეპნის კოეფიციენტი: 1.22 – გათვალისწინებით) ფაქტობრივად შესაძლებელი იქნებოდა 2782,38 კუბ.მ დატკეპნილი მასის მიღება, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოცულობაზე 612,12 კუბ.მ-ით ნაკლებია და სახელშეკრულებო ფასიდან გამომდინარე, მისი ღირებულება 16.251 ლარს²¹ შეადგენს. ამრიგად, სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვისას ფიქსირდება სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების არასაბაზრო ფასით განსაზღვრის, სატენდერო დოკუმენტაციაში შესასრულებელ სამუშაოთა არასათანადოდ აღწერის და ბიუჯეტიდან 16.251 ლარის ზედმეტად გადახდის ფაქტი. აღნიშნული, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულებამ განაპირობა და შესაძლოა, არამართლზომიერ ქმედებებთან იყოს დაკავშირებული.

დასკვნა

პრიორიტეტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან ზედმეტად გადახდილია სამშენებლო სამუშაოების ღირებულება – 16.251 ლარი, ხოლო სამივლინებო ხარჯების სახით გაცემული 2.812 ლარის მიზნობრიობა დოკუმენტურად არ დასტურდება. ამასთანავე, სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების შესყიდვისას ფიქსირდება სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების არასაბაზრო ფასით განსაზღვრისა და სატენდერო დოკუმენტაციაში შესასრულებელ სამუშაოთა არასათანადოდ აღწერის ფაქტები, რაც შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულებამ განაპირობა და შესაძლოა, არამართლზომიერ ქმედებებთან იყოს დაკავშირებული.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებულ პროცესებზე სათანადო ზედამხედველობას. ამასთანავე, შეისწავლოს სპორტული მოედნის მშენებლობის შესყიდვასთან დაკავშირებული ხარვეზები და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს კანონმდებლოთ გათვალისწინებული ღონისძიებები.

ა(ა)იპ – ქ. ბათუმის სპორტულმა ცენტრმა უზრუნველყოს გერმანიის რესპუბლიკაში, ქალაქ პოტსდამში, ცენტრის დირექტორის მივლინებისას სასტუმროს ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოს მივლინების ხარჯების სახით გაცემული 2.812 ლარი ბიუჯეტის შესაბამის ანაგარიშზე ჩარიცხვა

2.4.2 ქონების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარვეზები

კრიტერიუმი: დაწესებულების ქონების აუქციონის/პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი, რომელიც უფლებამოსილია დაწესებულების ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება – სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადასცეს ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ქონება. არაფინანსური აქტივების

²¹ 612,12*22,5= 13772,7+ (13772,7*18%)=16251

სპეციალურ სათავსოებში შენახვის შემთხვევაში, სათავსოში უნდა იყოს დაცული არაფინანსური აქტივების მოვლა-შენახვის პირობები.²²

გარემოება N1. აუდიტის პერიოდში კულტურის ცენტრი ბალანსზე რიცხულ ქონებას სარგებლობაში გადასცემდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2019 წელს სარგებლობის საფასურის სახით მიღებულია 38.200 ლარი. 25 შემთხვევაში ქონება სარგებლობაში გადაცემულია უსასყიდლოდ, რომელთა დაკავშირებით არსებობს დამფუძნებლის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი ნებართვა, თუმცა უსასყიდლოდ გაცემული ქონების სავარაუდო ღირებულების თანხით არ არის გაზრდილი კულტურის ცენტრის 2019 წლის ერთობლივი შემოსავალი და შესაბამისად, საშუალოდ, 22.500 ლარი არ არის დაბეგრული მოგების გადასახადით.²³

ქონების სარგებლობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მასალების ანალიზით დადგენილია, რომ რიგ შემთხვევებში ფიქსირდება სარგებლობის ღირებულების არასწორად განსაზღვრისა და კომერციული პროექტებისთვის ქონების უსასყიდლოდ გაცემის ფაქტები, მაგალითად:

- 2019 წლის 16 აგვისტოს სსიპ – „ბათუმის ბულვართან“ გაფორმდა ხელშეკრულება კულტურის ცენტრის კუთვნილი საკონცერტო სცენისა და აღჭურვილობის უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით. მოპოვებული ინფორმაციით დგინდება, რომ სცენა გამოყენებულია ბათუმის კორტებზე 2019 წლის 16 აგვისტოს გამართული კომერციული კონცერტისათვის.

- ანალოგიურად, 2019 წლის 9 აგვისტოს ა(ა)იპ – საქართველოს კულტურის პალატას მუსიკოსის, გორან ბრეგოვიჩის კომერციული კონცერტისათვის უსასყიდლოდ გადაეცა კულტურის ცენტრის კუთვნილი საკონცერტო სცენა, გახმოვანების აპარატურა და ტერიტორიის შემომსაზღვრელი რკინის ჯებირები. 2019 წლის 20 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების²⁴ შესაბამისად, 2019 წლის 23 ივნისს კონტრაქტორს, ერთი საათით, დროებით სარგებლობაში გადაეცა საზაფხულო თეატრის დარბაზი, გახმოვანება-განათების აპარატურასთან ერთად. მომსახურების ღირებულება, ზემოთ აღნიშნული ქონების ერთი საათით გამოყენებისთვის, 800 ლარით განისაზღვრა, თუმცა მოპოვებული ინფორმაციით დგინდება,²⁵ რომ აღნიშნული კონცერტი საზაფხულო თეატრში, სულ მცირე სამი საათი გრძელდებოდა და შესაბამისად, სარგებლობის ღირებულება 1500 ლარით²⁶ უნდა განსაზღვრულიყო.

ამრიგად, კულტურის ცენტრის მიერ ქონების სარგებლობაში გადაცემის საფასური არასრულადაა ასახული 2019 წლის ერთობლივ შემოსავალში და შესაბამისად, არასრულადაა დაბეგრული მოგების გადასახადით. ამასთანავე, ფიქსირდება სარგებლობის საფასურის არასწორად განსაზღვრა და კომერციული პროექტებისთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტები, რაც ქონების ცვეთასთან ერთად, უარყოფითად მოქმედებს ცენტრის ფინანსურ მდგომარეობაზე.

²² ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილება.

²³ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

²⁴ კონტრაქტორი შპს „ბასტი ბუბუ“.

²⁵ ელექტრონული აფიშის შესაბამისად, კონცერტი უნდა გამართულიყო 2019 წლის 23 ივნისს, საზაფხულო თეატრში, 16.00 სთ-დან 19.00 სთ-მდე.

²⁶ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების შესაბამისად, სარგებლობის საფასური განისაზღვრება არანაკლებ ლიცენზირებული აუდიტორის დასკვნით დადგენილი საფასურის ოდენობით, რომლის შესაბამისად, საზაფხულო თეატრის დარბაზისა და გახმოვანება-განათების აპარატურის სარგებლობაში ერთი საათით გადაცემის ღირებულება 500 ლარითაა განსაზღვრული.

გარემოზა N2. ა(ა)იპ – ქ. ბათუმის კულტურის ცენტრის ბალანსზე აუდიტის პერიოდში ირიცხებოდა ორი სცენა, გახმოვანებისა და განათების აპარატურა – 3.412.061 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით. თუმცა მიუხედავად არსებული რესურსისა, 2019 წელს ცენტრის დაკვეთით ჩატარებული ღონისძიების ფარგლებში, სცენის მოწყობის, გახმოვანებისა და განათების მომსახურებებისათვის გადახდილია 98.980 ლარი. კულტურის ცენტრის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ბალანსზე რიცხული აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი ამორტიზებულია, რის გამო ვერ ხერხდება მათი სრულად გამოყენება. აუდიტის ჯგუფმა ადგილზე შეამოწმა კულტურის ცენტრის ბალანსზე რიცხული აქტივების ფიზიკური მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ ძვირადღირებული გახმოვანებისა და განათების აპარატურა ინახება შენობაში, სადაც არ არის უზრუნველყოფილი აქტივების დაცვისა და შენახვის ელემენტარული პირობები, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს აპარატურის მწყობრიდან გამოსვლას.

ამრიგად, ა(ა)იპ – ქ. ბათუმის კულტურის ცენტრის ბალანსზე რიცხული აქტივები მოვლა-შენახვის არასათანადო პირობების გამო ზიანდება და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ხდება. შედეგად, სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებისას დამატებით ქირაობენ შესაბამის ტექნიკას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ცენტრის დაკვეთით ჩატარებული ღონისძიებების საბიუჯეტო ხარჯს.

დასკვნა

ა(ა)იპ – ქ. ბათუმის კულტურის ცენტრის 2019 წლის ერთობლივი შემოსავალი შემცირებულია და შესაბამისად, მოგების გადასახადით არ არის დაბეგრული უსასყიდლოდ გაცემული ქონების სავარაუდო ღირებულება, თანხით – 22.500 ლარი. ფიქსირდება სარგებლობის საფასურის არასწორად განსაზღვრისა და კომერციული პროექტებისთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტები, რაც უარყოფითად აისახება ცენტრის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამასთანავე, კულტურის ცენტრის ბალანსზე რიცხული არასათანადო მოვლა-შენახვის გამო დაზიანებული აქტივები ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარია და, სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებისას საჭიროა შესაბამისი ტექნიკის დაქირავება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ცენტრის დაკვეთით ჩატარებული ღონისძიებების საბიუჯეტო ხარჯს.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ – ქ. ბათუმის კულტურის ცენტრმა განახორციელოს 2019 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციის კორექტირება. ამასთანავე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს და განახორციელოს ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების გამოყენებისა და შენახვის სისტემური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ექსპლუატაციისას აქტივების ფუნქციონირებას და საქმიანობაში სრულად გამოყენებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სხვადასხვა ღონისძიებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკურად ხარჯვას.

2.5 პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრული პროგრამები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით „კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის“ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 20 პროგრამა, რომელთაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია და მის დაქვემდებარებაში მყოფი 6 (ექვსი) იურიდიული პირი ახორციელებდა.

2.5.1 პროგრამების შედგენისა და შესრულების საქმეში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მხარჯავი დაწესებულება პროგრამის ფარგლებში ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებიდან ხარჯავს საბიუჯეტო სახსრებს. პროგრამით დასახული მიზნების შესრულების თვალსაზრისით, საბიუჯეტო ასიგნების სრული და დროული ათვისება მნიშვნელოვანია. ამასთანავე, ასიგნების გარეშე საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა ან ვალდებულების აღება დაუშვებელია. ბიუჯეტი წარმოდგენილია პროგრამულ ფორმატში. თითოეული პროგრამის შესაბამისად გაწერილია პროგრამის განმახორციელებელი ორგანო, პროგრამის მიზნები, პროგრამის ბიუჯეტი, შუალედური და საბოლოო მოსალოდნელი შედეგი. ამასთანავე, პროგრამის შედეგების შეფასებისათვის უნდა განისაზღვროს შედეგების შეფასების ინდიკატორი, რომელთა სწორად განსაზღვრა მნიშვნელოვანია პროგრამის ეფექტიანობის შეფასებისათვის.²⁷

გარემოება N1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ანგარიშგების შესაბამისად, „კულტურის ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის“ პრიორიტეტის ფარგლებში არსებული პროგრამების (ნაერთი) საბიუჯეტო გეგმა 95,8 %-ით შესრულდა, ანუ გეგმის შესრულებას 585.923 ლარი დააკლდა (იხ. დანართი N1.).

„კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობისა და სპორტის პრიორიტეტის“ ბიუჯეტი წარმოდგენილია პროგრამულ ფორმატში, განსაზღვრულია პროგრამების მიზნები, განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, თუმცა არასწორადაა განსაზღვრული პროგრამის მიზნიდან გამომდინარე მისაღწევი შედეგები, მაგალითად:

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერის ქვეპროგრამის მიზანი ახალგაზრდების ინტელექტუალური და კოგნიტური განვითარების ხელშეწყობაა. ქვეპროგრამის საბოლოო მოსალოდნელი შედეგია – „ხელშეწყობილი ახალგაზრდობის ინტელექტუალური და შემეცნებითი განვითარება“, ხოლო შედეგების ინდიკატორები – პროექტებისა და მათში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა. ქვეპროგრამის მიზნიდან გამომდინარე, ახალგაზრდობის ინტელექტუალური და შემეცნებითი განვითარების გაუმჯობესება შეიძლება იქნეს განხილული, როგორც ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღწევი შედეგი, მაშინ როცა, ახალგაზრდობის ინტელექტუალური და შემეცნებითი განვითარების ხელშეწყობა, მიზნის მისაღწევ საშუალებად შეიძლება განვიხილოთ. ამასთანავე, მსგავსი ფორმატით წარმოდგენილი მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები არ იძლევა საშუალებას დადგინდეს, განხორციელებული აქტივობების შედეგად რა მაჩვენებლით გაუმჯობესდა ახალგაზრდების ინტელექტისა და შემეცნების დონე. ამასთან ერთად, არ არის შემუშავებული ინდიკატორები, რომლებიც გაზომავდა შედეგისა და დანახარჯების ფარდობითობას. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების უმთავრესი მიზანია, ურთიერთკავშირის დამყარდეს სწორედ მიღწეული შედეგებისა და მიზნის მისაღწევად დახარჯულ რესურსებს შორის.

²⁷საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-18 მუხლი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია“.

დასკვნა

ცალკეული პროგრამის მისაღწევი შედეგების არასწორად განსაზღვრის გამო, ვერ დგინდება შედეგებისა და მიზნის მისაღწევად დახარჯული რესურსების ურთიერთკავშირი, რის გამოც ვერ ხერხდება მიღწეული შედეგების სრულყოფილი შეფასება.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამებისა და ქვეპროგრამების მიზნების ადეკვატური მისაღწევი შედეგების და შეფასების ინდიკატორების შემუშავება, რომელთა საშუალებით მკაფიოდ წარმოჩნდება შედეგებისა და მიზნის მისაღწევად დახარჯულ რესურსებს შორის ურთიერთკავშირი, რაც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების უმთავრესი მიზანია.

აუდიტორები**ხელმოწერა**

გოჩა შარაბიძე
წამყვანი აუდიტორი

გურანდა გვაზავა
უფროსი აუდიტორი

გიორგი აბულაძე
აუდიტორ-ასისტენტი

2.11.2020

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია:

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი:

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული
ფოსტა:

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38